საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

29/07/2024

MIA 3 24 02291404

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
ძველი-თბილისის სანებართვო განყოფილება-პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(განყოფილების უფროსი)
ქალბატონ **თამარ მელიავას**

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2024 წლის 23 ივლისის N 60-01242052530 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ განხილული იქნა ქალაქ თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N 27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.17.01.122.008) სასტუმროს შენობის არქიტექტურული პროექტის, სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ შესამუშავებელია სახანძრო უსაფრთხოების რიგი ღონისძიებები. კერძოდ:

1. საექსპერტო დასკვნაში მოცემული სახანძრო და საავარიო სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზების შეფასება არ არის თანხვედრაში არქიტექტურულ პროექტთან, რაც საჭიროებს ცვლილება დამატებების შეტანას და გზის მოწყობა უნდა გათვალისწინდეს 915 ქვეთავის შესაბამისად (აისახოს გენ-გეგმაზე).

2. არქიტექტურულ პროექტში, გარე ხანძრის ჩაქრობისათვის მოცემული სახანძრო ჰიდრანტი დამონტაჟდეს სავალი გზის გასწვრივ მისი კიდიდან არაუმეტეს 2,5 მ მანძილზე, მაგრამ შენობის კედლიდან არანაკლებ 5 მ დაცილებით (აისახოს გენ-გეგმაზე).

3. შენობის კიბის უჯრედებში სადაც არ ხდება ბუნებრივი განიავება, საჭიროა გარე კედლებში ყველა სართულზე (გაღებადი ფანჯრების) მოწყობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გათვალისწინებული იქნას კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის მოწყობა ჰაერის დაწნევის გზით. ასევე ლიფტის შახტაში მოწყობილი იქნას ჰაერის დაწნევის სისტემის მოწყობა (აისახოს პროექტში).

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

4. შენობის +3.30 და +6.60 ნიშნულებზე „3-4“ და „7-8“ ღერძებში მოცემული დერეფნიდან გარე კიბის უჯრედზე გასასვლელი კარების გაღება გათვალისწინდეს ევაკუაციის გასვლის მიმართულებით (აისახოს პროექტში).

5. შენობაში გათვალისწინებული იქნას ხანძრის შესახებ ტექსტური შეტყობინების სისტემის მოწყობა (აისახოს პროექტში).

6. შენობის კორიდორებში, კიბის უჯრედებში და სატუმბო სადგურის სათავსში გათვალისწინებული იქნას ავარიული განათებების მოწყობა (აისახოს პროექტში).

7. დაპროექტების დოკუმენტაციაში გაურკვეველია გათბობის მოწყობის საკითხი მოძიებული იქნას აღნიშნული ინფორმაცია და აისახოს პროექტში.

8. შემუშავებული და წარმოდგენილი უნდა იქნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სრულყოფილი პროექტები რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს;
დ) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტს;
ე) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის და დაწნევის სისტემების მოწყობის პროექტს;
ვ) შენობის ხანძრის შესახებ მაუწყებლობა-ტექსტური გამოცხადების, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების და ავარიული განათებების მოწყობის პროექტს;
ზ) შენობის ელექტროდანადგარების მოწყობის პროექტს.

გაცნობებთ რა ზემოთ აღნიშნულს, წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იქნას შენობის პროექტში სათანადო ცვლილებების და დამატებების შეტანა, ხოლო კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტაცია დადგენილი წესის შესაბამისად წარმოდგენილი იქნას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შემდგომი განხილვისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის თაობაზე სათანადო დასკვნის მოსამზადებლად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუჭაშვილი დავითი